თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

საპარლამენტო არჩევნების ისტორია საქართველოში

იხილეთ მე-2 გვერდზე

წინასაარჩევნო პერიოდში დადგენილი სპეციალური სტანდარტები

იხილეთ მე-3 გვერდზე

№13 (752) 5 - 11 სექტემბერი, 2016 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

იმერეთის დაქსაქსული საარჩევნო საზღვრები და საზიარო მაჟორიტარები

გიორგი ალფაიძე თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოდოგანში ცხოვრობს, თუმცა, ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით მაჟორიტარ დეპუტატს ქუთაისში აირჩევს. ამ სიახლის შესახებ ინფორმაციას კი ჯერჯერობით არც ის ფლობს და არც მისი მეზობლები.

„ნამდვილად არ ვიცი, ვის ვირჩეთ, ქუთაისელების მაჟორტარი რატომ უნდა ავირჩიოთ ჩვენ თერჯოლლებმა? ქუთაისი ქუთაისია და მისი პრობლემები აქვს, სამი თუ ოთხი სოფელი მაინც დავიწყებულია და ახლა სულ მთლად დაგვივიწყებენ. არ არის ეს კარგი სიახლე. ჩვენთვის, უბრალო ხალხისთვის ძნელად გასაგებია“ - ამბობს გიორგი.

„მაჟორიტარული ოლქები“ – ეს ამ არჩევნების ერთ-ერთი მთავარი სიახლეა,

საკონსტიტუციო სასამართლოს 28 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყო ამომრჩეველთა თანაბარი მონაწილეობა საარჩევნო კოდექსში ისე, როგორც უმრავლესობა ამბობს, დაცულია ხმათა თანაბრობის პრინციპი და კონკრეტული კანონი არ უგულვებელყოფს ამომრჩეველთა გავლენას საარჩევნო პროცესზე. პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მითითებით იხელმძღვანელა, სადაც წერია, რომ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა, ხოლო სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს, შეძლებისდაგვარად, თანაბარი საარჩევნო ოლქების ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად ,,ხმათა თანაფარდობის“ ფუნდამეტალურ პრინციპში კი ამომრჩეველი ჯერჯერობით ვერ გაერკვია.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იმერეთის 12 მუნიციპალიტეტში 11 მაჟორიტარული ოლქი იქნება. ქუთაისელები სამი მაჟორიტარულ ოლქში №47, 48, 49 აირჩევენ მაჟორიტარს. 47–ე ოლქის მაჟორიტარს, ქუთაისთან ერთად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლები: კვახჭირი, გოდოგანი, ნაგარევი, ჭოგნარის მოსახლეობაც გაიყოფს.

გაერთიანდა ტყიბულისა და თერჯოლის მაჟორიტარული ოლქები, ამ ორ მუნიციპალიტეტს პარლამენტში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ეყოლება. ზიარი წარმომადგენელი ეყოლება ხარაგაული, ბაღდათი ზესტაფონის (ნაწილი) ამომრჩეველს, ასევე — ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტებსაც. სხვათა შორის, ეს ორი მუნიციპალიტეტი ერთადერთია ახალ მაჟორიტარულ ოლქებს შორის, რომლებიც გეოგრაფიულად ერთმანეთს არ ესაზღვრებიან. თითო - თითო და არაზიარი მაჟორიტარები ეყოლება სამტრედიას, წყალტუბოს, ჭიათურასა და საჩხერეს.

საზღვრების დაყოფას არ ეთანხმება არც საპარლამენტო და არც არასაპარლამენტო ოპოზიცია.

გაამართლებს თუ არა ახალი დაყოფა, ეს 2016 წლის მოწვევის პარლამენტში გამოჩნდება, თუმცა, ამასაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას მაჟორიტარებს აღარ აირჩევენ.

მაკა ჩინიჯიშვილი

ერთი მოსწავლე კლასში...

იმერეთში სოფლის სკოლების უმრავლესობა რამდენიმე წელიწადში შესაძლოა, მოსწავლეების გარეშე დარჩეს

თორნიკე გოტიაშვილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ სოჩხეთის საჯარო სკოლის მეორე კლასში გადავიდა. კლასში ერთადერთი მოსწავლეა. მთელი წელი ყოველდღე ავტობუსით 20 კილომეტრამდე მანძილის გავლა უწევდა იმის გამო, რომ სოჩხეთში დაწყებითი კლასი არ გაუქმებულიყო. დედამ ასე გადაწყვიტა, რადგან თავად ამ სკოლაში ასწავლის და ძალიან უყვარს ეს სოფელი, ეს სკოლა, ეს გარემო, იქაური ბავშვები...

თორნიკე წელსაც სოჩხეთში ივლის სკოლაში, წელსაც მარტო იჯდება მერხთან და საუკუნემიღწეული დიდი ბებიის შეკითხვაზე: „ვინ ზის შენ გვერდით – გოგო თუ ბიჭი?“ – ალბათ, ისევ მოუწევს დედას გახედოს და ყურში უჩურჩულოს: ხომ ვერ გავაგებინე ქეთო ბებიას, მარტო რომ ვზივარ მერხთანო...

სამწუხაროდ, თორნიკეს დედის გადაწყვეტილებით სოჩხეთში, ასე თუ ისე, შენარჩუნებული დაწყებითი კლასი იმერეთის მუნიციპალიტეტების სოფლების დიდ ნაწილში დაიხურა.

სოფლებიდან მიგრაციის პრობლემა არამარტო ტყიბულის რაიონის ამ სოფელს აწუხებს. სოფლები იცლება თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში და ამის ყველაზე კარგი ინდიკატორი სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობების კლებაა. საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის ბოლო ორი საყოველთაო აღწერის მონაცემებსაც თუ გადავხედავთ, აქაც ვნახავთ, რომ ქვეყანაში სოფლად მცხოვრებთა რიცხვი იკლებს. 2002 წელს საქართველოს მოსახლეობის 47,7% ცხოვრობდა სოფელში. 2014 წელს კი – 42,6%.

თორნიკე და ომარი

ხარაგაულის, ჭიათურის, ხონის, სამტრედიისა და ზესტაფონის სოფლების სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის მიმოხილვამ ცხადყო, რომ ყველა დასახელებულ მუნიციპალიტეტში სოფლების სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა ყოველ წელს მცირდება. თან, არცთუ ისე უმნიშვნელოდ.

ყოველ წელს, საშუალოდ, 100 მოსწავლე აკლდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების სკოლებს. 2011 წელს აქ 2 211 ბავშვი დადიოდა სკოლაში, 2016 წელს – 1 675.

მიგრაციის ნეგატიური შედეგი ვერ ასცდა სოფელ ბორითის საჯარო სკოლას, რომელიც ხუთი წლის წინათ მუნიციპალიტეტში ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფლის სკოლა იყო 202 მოსწავლით. 2016 წელს კი აქ 166 ბავშვი სწავლობდა.

ხონის მუნიციპალიტეტის 21 სოფლის სკოლაში 2011-2012 სასწავლო წელს 1 855 ბავშვი მივიდა, 2015 წელს მათი რიცხვი 1 348-მდე შემცირდა.

გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლაში 2015 წელს 141 მოსწავლე სწავლობდა, მაშინ, როცა ხუთი წლის წინათ აქ მათი რიცხვი 201 იყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფლებში 23 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. მათში მოსწავლეთა რაოდენობა 2012-2016 წლებში 2 896-დან 2 280-მდე შემცირდა. აქ გვხვდება სკოლები, რომლებიც მოსწავლეთა რაოდენობას ინარჩუნებენ. თუმცა ყველაზე მრავალრიცხოვან დიდი ჯიხაიშის №1, ასევე, გომისა და ნაბაკევის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირედით ყოველწლიურად იკლებს.

3 876-დან 3 413-მდე შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 26 სოფლის სკოლაშიც.

ყველაზე მძიმე სიტუაცია ჭიათურის მუნიციპალიტეტშია. მუნიციპალიტეტის 36 სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა. 2011-2012 სასწავლო წელს აქ 3 305 მოსწავლე დადიოდა, 2015-2016 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობა თითქმის განახევრდა და 1 829 მოსწავლემდე დავიდა.

2011 წელს ყველაზე მრავალრიცხოვანი საჯარო სკოლა ითხვისის №1 საჯარო სკოლა იყო, სადაც 273 მოსწავლე იღებდა განათლებას. 2015 სასწავლო წელს კი სკოლაში მხოლოდ 175 ბავშვი შეხვდა ახალ სასწავლო წელს. ხუთ წელიწადში სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა თითქმის 100 ერთეულით შემცირდა.

სამწუხაროდ, ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდეს, თორემ გავიგებდით, თანაკლასელების გარეშე მოუწევდა თუ არა თორნიკეს განათლების მიღება, ცოტა ადრე რომ დაბადებულიყო.

ორი წლის შემდეგ თორნიკეს პატარა ძმა, ომარიც უნდა მიუჯდეს სკოლის მერხს. რას გადაწყვეტს დედა, ატარებს ბავშვებს თითქმის 20 კილომეტრის მოშორებით იმისთვის, რომ სოჩხეთის სკოლაში დაწყებითი კლასი არ დაიხუროს, თუ საქმეს გაიიოლებს და ბავშვებს პრესტიჟულ ქალაქის სკოლაში მიიყვანს, თავადაც არ იცის...

ირმა ბახუტაშვილი
factcheck.ge

სოფლის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 2011-2015 წლები

წელი	სამტრედია (23 სკოლა)	ხონი (21 სკოლა)	ზესტაფონი (26 სკოლა)	ხარაგაული (24 სკოლა)	ჭიათურა (36 სკოლა)
2011	2 696	1 855		2 211	3 305
2012	2 547	1 702	3 876	1 953	3 042
2013	2 448	1 570	3 736	1 835	2 803
2014	2 353	1 428	3 380	1 722	2 619
2015	2 280	1 348	3 413	1 675	2 470

PS news.ge
ISSN 1987-7056

ინფორმირებული არჩევნისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

საპარლამენტო არჩევნების ისტორია საქართველოში

(მეორე ნაწილი)

1995 წელი

1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ იმ პარტიებს და პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც წარმოადგენდნენ 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას ან რომელთაც პარლამენტში ჰყავდათ წარმომადგენელი კონსტიტუციის მიღების დღისთვის (24.08.1995).

პროპორციული სისტემით არჩევნები ერთიანი პარტიული სიით ტარდებოდა. პარტიულ სიაში შეიძლებოდა ყოფილიყო მაჟორიტარობის კანდიდატიც.

პარლამენტის შემადგენლობა 235 დეპუტატით განისაზღვრა (150 _ პროპორციული, 85 _ მაჟორიტარი). ბარიერი 5% იყო.

არჩევებში მონაწილე 53 პარტიიდან ბარიერი გადალახა სამმა პარტიამ: 1) "მოქალაქეთა კავშირი" _ 23.71%, 504,586 ხმა, 90 მანდატი; 2) "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" _ 7.96%, 169,218 ხმა, 31 მანდატი; 3) "აღორძინების კავშირი" _ 6.8%, 145,626 ხმა, 25 მანდატი.

მაჟორიტარული ოლქებიდან მხოლოდ 32 ოლქში გამოვლინდა გამარჯვებული პირველ წრეში. დანარჩენ 42 ოლქში (მათ შორის, თბილისშიც) მეორე ტური გაიმართა. "მოქალაქეთა კავშირმა" 18 მანდატი მიიღო, "აღორძინების კავშირმა" _ 6; "ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ" _ 3. დამოუკიდებელმა კანდიდატებმა 29 მანდატი აიღეს, ხოლო დარჩენილი 29 მანდატი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა გაინაწილეს.

ამ არჩევნებზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ 3 121 075 შეადგინა, არჩევნებში მონაწილეობა კი 2, 127 946 ამომრჩეველმა მიიღო. რაც შეეხება აფხაზეთს, იქ სეპარატისტული რეჟიმის გამო, არ ჩატარდა არჩევნები და ამიტომ, აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება გაუგრძელდა (12 დეპუტატი).

1999 წელი

1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები წინა საპარლამენტო არჩევნების პრინციპით ჩატარდა. განმეორდა აფხაზეთის შემთხვევაც. ამ არჩევნებში მონაწილეობა 45-მა პარტიამ მიიღო.

7%-იანი ბარიერის გადალახვა ისევ 3-მა პარტიამ შეძლო: 1) "მოქალაქეთა კავშირი" _ 42.07%, 894 850 ხმა, 85 მანდატი; 2) ბლოკი "საქართველოს აღორძინება" _ 25.41%, 540 389 ხმა, 51 ადგილი; 3) ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" _ 7.13%, 151 685, 14 მანდატი.

მაჟორიტარული წესით კი შემდეგმა პარტიებმა მოიპოვეს მანდატები: "მოქალაქეთა კავშირი" _ 46 მანდატი; ბლოკი "საქართველოს აღორძინება" _ 7 მანდატი; ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" _ 1 მანდატი; "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" _ 2 მანდატი; დამოუკიდებელმა კანდიდატებმა 17 მანდატი მიიღეს.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2, 133 878 ამომრჩეველმა.

1999 წლის 7 და 14 ნოემბერს ჩატარდა არჩევნების მეორე ტური და მაჟორიტარული სისტემით არჩეული იქნა 22 დეპუტატი.

2003-2004 წლები

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები უპრეცედენტო იყო საქართველოს ისტორიაში _ რადგან ეს არჩევნები გაუქმებულად გამოცხადდა, ის წინა არჩევნების პრინციპით ჩატარდა.

არჩევნებში მონაწილეობა 18 პარტიამ და ბლოკმა მიიღო.

ბარიერი 7% იყო, რომელიც შემდეგმა პარტიებმა გადალახეს: 1) ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" _ 21.32%, 407 045 ხმა, 38 მანდატი; 2) "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" _ 18.84%, 359 769, 33 მანდატი; 3) ბლოკი "სააკაშვილი _ ნაციონალური მოძრაობა" _ 18.08%, 345 197, 32 მანდატი; 4) "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" _ 12.04%, 229 900, 20 მანდატი; 5) ბლოკი "ბურჯანაძე _ დემოკრატები"_ 8.79%, 167 908, 15 მანდატი; 6) ბლოკი "ახალი მემარჯვენეები" _ 7.35%, 140 259, 12 მანდატი. მაჟორიტარები: 1) ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" _ 19 მანდატი; 2) ბლოკი "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა" _ 10; 3) "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" _ 6; 4) ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატები" _ 4; 5) ბლოკი "ახალი მემარჯვენეები" _ 4; 6) "ლეიბორისტული პარტია" _ 3; 7) ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" _ 4; 8) "ნაციონალური მოძრობა _ დემოკრატები" _ 1; 9) დამოუკიდებელი კანდიდატები _ 21 მანდატი. მხოლოდ სამ მაჟორიტარულ ოლქში გაუქმდა არჩევნების შედეგები (#63 _ აბაშა, #56 _ ჭიათურა, #23 _ ბოლნისი).

არჩევნებში მონაწილეობა 1,909 215 ამომრჩეველმა მიიღო.

არჩათვლილი არჩევნების მაგივრად, ხელახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2004 წლის 28 მარტს.

ცოტა ხნით ადრე, საპრეზიდენტო არჩევებში უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა.

ხელახალი არჩევნები მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარდა. გადასალახი ბარიერი 7% იყო. 17 პარტიიდან მანდატები მხოლოდ ორმა პარტიამ მოიპოვა _ "ნაციონალური მოძრაობა _ დემოკრატებმა" მიიღეს ხმების 66.24% და მოიპოვეს 135 მანდატი, ხოლო "მემარჯვენე ოპოზიციამ _ მრეწველები, ახლები" _ 7.56% 15 მანდატი.

ეს არჩევნები იმითაც იყო გამორჩეული, რომ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ მონაცემთა სრულყოფილი ბაზის არარსებობამ, ცენტრალური საარჩევნო კომისია იძულებული გახადა, მოქალაქეთა წინასწარი რეგისტრაციისთვის მიემართა.

ამომრჩეველთა რაოდენობა იყო 2 343 087; არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 498 012 ამომრჩეველმა.

2008 წელი

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებიდან 5 თვეში, 21 მაისს გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, რომლის ჩატარების წესი შეიცვალა; ასევე, 150-მდე შემცირდა დეპუტატთა რაოდენობა, რომელთაც შერეული საარჩევნო სისტემით ირჩევდნენ (75 _ მაჟორიტარი, 75 _ პროპორციული სიით, 2008 წლის მარტში შეტანილი ცვლილებებით). ასევე, დაიწია საარჩევნო ბარიერმა და 5% გახდა. ამასთან, მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებისთვის საჭირო გახდა სულ მცირე, ხმათა 30% აღება. თუ არ იქნებოდა ასეთი კანდიდატი, ორი კვირის ვადაში ინიშნებოდა მე-2 ტური. ასევე, პარტიის მხარდამჭერ ხელმომწერთა აუცილებელმა რაოდენობამ 50 000-დან 30 000-მდე ჩამოიწია.

არჩევნებში მონაწილეობა 12-მა პარტიამ მიიღო. ბარიერი გადალახა: 1) "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა _ გამარჯვებული საქართველოსთვის"_ 59.18%, 48 მანდატს დაემატა მაჟორიტარული წესით მოპოვებული 71 მანდატი; 2) გაერთიანებული ოპოზიცია _ 17.73%, 6 მანდატს დაემატა 2 მაჟორიტარი. 3) გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები _ 8.66%, 6 მანდატი; 4) შალვა ნათელაშვილი-ლეიბორისტული პარტია _ 7.44%, 6 მანდატი. ასევე, 2 მაჟორიტარი გაიყვანა "რესპუბლიკურმა პარტიამ".

ეს არჩევნები იმითაც იყო გამორჩეული, რომ დაფიქსირდა დამკვირვებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა _ 1,848 საერთაშორისო და 13,195 ადგილობრივი ორგანიზაცია. არჩევნებზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ 3 465 736 ამომრჩეველი შეადგინა. მათგან არჩევნებზე მივიდა 1 850 407 ამომრჩეველი.

2012 წელი

საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის არჩევა 2012 წლის 1 ოქტომბერს მოხდა. ეს იყო პირველი არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელშიც მმართველი პარტია დამარცხდა.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 215 661 ამომრჩეველმა. 5%-იანი ბარიერის გადალახვა მხოლოდ ორმა საარჩევნო სუბიექტმა შეძლო: კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" პარტიული სიით 44 მანდატი მიიღო, დააგროვა რა ხმების 54.07%.

კოალიციამ, ასევე, მიიღო 41 მაჟორიტარული მანდატი, მოიგო რა ყველა ოლქი თბილისში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში და შიდა ქართლში; ასევე, მოიგო კახეთის და იმერეთის ოლქების უმრავლესობა. მეორე ადგილზე გავიდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომელმაც 33 მანდატი მოიპოვა პროპორციული წესით, ხოლო მაჟორიტარული წესით _ 32.

მართალია, "ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა ამ არჩევნებში, შეძლო მთავრობის ფორმირება, მაგრამ 85 მანდატი საკმარისი არ აღმოჩნდა კონსტიტუციური ცვლილებებისთვის. ახლადარჩეულმა პარლამენტმა ქუთაისში დაიწყო ფუნქციონირება.

შემდეგი და ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს შეემატება ამ სიას. იმედია, იგი სამართლიანად, მშვიდ გარემოში ჩაივლის და განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი მხოლოდ არჩევნებზე მიმსვლელთა რაოდენობით გახდება.

მოამზადა მამუკა მამალაძემ

წყაროები: www.cesko.ge; election-choice.blogspot.com; ka.wikipedia.org; data.electionportal.ge

კონსულტაციის მისაღებად ან მედიასთან დასაკავშირებლად დაგვირეკეთ ცხელ ხაზზე: 595 555 903.
კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრი: საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრისა და საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი
"ინფორმირებული არჩევნისთვის _ საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის"
ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ინფორმირებული არჩევნისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

წინასაარჩევნო პერიოდში დადგენილი სპეციალური სტანდარტები

✓ წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წესები

წინასაარჩევნო კამპანია არის საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია წინასაარჩევნო აგიტაცია.

წინასაარჩევნო აგიტაცია არის ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები, რომლის წესები განსაზღვრულია საარჩევნო კოდექსით.

✓ პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო კოდექსით დადგენილი აქვთ უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დროის მკაცრად ლიმიტირებულ პერიოდში უნდა შესრულდეს. მაგალითად, შესაბამისი უფლების მქონე საარჩევნო სუბიექტებმა ცესკოს უნდა წარუდგინონ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა კანდიდატურები. ამასთანავე, პარტიებმა განსაზღვრულ ვადებში უნდა მიმართონ ცესკოს რეგისტრაციაში გატარების მოთხოვნით, წარადგინონ პარტიული სია, დანიშნონ წარმომადგენლები შესაბამის საარჩევნო ადმინისტრაციაში და სხვა.

საარჩევნო სუბიექტების (პარტიების და დამოუკიდებელი დეპუტატების) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. კერძოდ, პოლიტიკური სუბიექტები ვალდებულნი არიან საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციიდან 5 დღის განმავლობაში შექმნან საარჩევნო კამპანიის ფონდი და მიაწოდონ ანგარიშის რეკვიზიტები აუდიტის სამსახურს. საარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს ასევე ევალებათ 3 კვირაში ერთხელ კამპანიის ფინანსური ანგარიში წარუდგინონ აუდიტის სამსახურს.

✓ საარჩევნო ადმინისტრაცია

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის ზედამხედველობას ძირითადად საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებს. არჩევნების ჩატარება უკავშირდება საარჩევნო კოდექსით დადგენილ სპეციალურ ვადებს, რასაც ცესკო საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით განსაზღვრავს. ცესკოს მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად უნდა იმოქმედონ საოლქო საარჩევნო კომისიებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, კანდიდატებმა, სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, მედიამ, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა და საარჩევნო პროცესში ჩართულმა აქტორებმა.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია, მედიის, ადგილობრივი და საერთაშორისო წარმომადგენლების აკრედიტაცია, ამომრჩეველთა რაოდენობის გამოქვეყნება და სხვა.

✓ ადგილობრივი თვითმმართველობა

საარჩევნო პერიოდში ადგილობრივ თვითმმართველობებს ძირითადად საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი გარემოს ხელშეწყობა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა ევალებათ. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა გამოყონ ადგილები საარჩევნო სუბიექტებისთვის სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის, ასევე, შენობები სააგიტაციო შეხვედრებისთვის. დადგენილ ვადაში უნდა გამოაქვეყნონ იმ შენობების და ადგილების ჩამონათვალი, სადაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და ასევე, ადგილები, სადაც ასეთი მასალის განთავსება შეიძლება.

✓ მედია

მედიის მიერ წინასაარჩევნო პროცესების გაშუქების რეგულირება მეტად კომპლექსური საკითხია. ერთის მხრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დაბალანსება, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკური რეკლამის განთავსება მკაცრად რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

საარჩევნო კოდექსით დადგენილია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გადაცემებისა და არჩევნების გაშუქების დროს მაუწყებელმა უნდა დაიცვას მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი.

საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

კანონი, ასევე, განსაზღვრავს ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესს. პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა„ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა„; აკრძალულია კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა.

✓ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა

საარჩევნო კოდექსით მკაცრად არის რეგლამენტირებული იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის გამართვა.

ეს ადგილებია:

- **საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები;**
- **სასამართლოები;**
- **სამხედრო ნაწილები.**

საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც წინასაარჩევნო კამპანიაში/აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალება.

ესენია:

- **საარჩევნო კომისიის წევრი;**
- **მოსამართლე;**
- **საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეები;**
- **გენერალური აუდიტორი;**
- **საქართველოს სახალხო დამცველი;**
- **უცხო ქვეყნის მოქალაქე და ორგანიზაცია;**
- **საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციები;**
- **სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეები _ სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;**
- **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები.**

წინასაარჩევნო პერიოდში თანამდებობის პირებს ეკრძალებათ:

- **სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას, ასევე, არჩევას;**
- **სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა;**
- **წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.**

წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ ეზღუდებათ: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მთავრობის სხვა წევრებს და მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე, საკრებულოს წევრებს, გამგებლებსა და მერებს, სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს.

- ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისთვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება წინასაარჩევნო მიზნებისთვის;
- იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შემთხვევაზე, რომელთა დაცვას კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;
- აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.
- აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის შექმნა, სადაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ასევე, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას.
- აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

ზემოაღნიშნული წესების დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ რესურსის გამოყენებას და იწვევს დამრღვევი პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

✓ ამომრჩევლის მოსყიდვა

არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე პარტიებს, კანდიდატებსა და მათ წარმომადგენლებს ეკრძალებათ პირადად, ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისთვის მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, გარდა სააგიტაციო მასალის დარიგებისა. ასევე, აკრძალულია ფულის, ან სხვა მატერიალური ფასეულობის გადაცემის დაპირება.

პარტიას, ბლოკს, კანდიდატს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ზემოაღნიშნულ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში.

წყარო: http://www.isfed.ge

კონსულტაციის მისაღებად ან მედიასთან დასაკავშირებლად დაგვიერეთ ცხელ ხაზზე: 595 555 903.
კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრი:
საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი

ცესკო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრისა და საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი
"ინფორმირებული არჩევნისთვის _ საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის"
ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

შენი არჩევანის უზრუნველყოფა!



ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას. **Ⓐ — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი. ● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge